NEW VISION
INSURANCE

აგროდაზღვევის

ხელშეკრულება/პირობები N NSA/01-20

წინამდებარე ხელშეკრულება/პირობები და მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისი წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებულ ერთიან დაზღვევის ხელშეკრულებას. ხელშეკრულების ყველა დანართი/დამატებითი პირობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დაზღვევა ხორციელდება სადაზღვევო პოლისის, წინამდებარე პირობების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. მზღვეველი - სს ნიუ ვიჟენ დაზღვევა (ს/კ 402160022) მისი ყველა უფლებამონაცვლე და სამართლმემკვიდრე;
1.2. დამზღვევი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი.
1.3. მოსარგებლე – დამზღვევი ან/და დამზღვევის მიერ განსაზღვრული ბანკი, მიკროსაფინანსო ინსტიტუტი, რომელიც იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას.
1.4. სადაზღვევო პოლისი - მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი, რომელიც წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულება/პირობებთან ერთად წარმოადგენს დაზღვევის ხელშერულებას და გადაეცემა დამზღვევს. დაზღვევის პოლისი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
1.5. დაზღვევის ობიექტი – სადაზღვევო პოლისში მითითებული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავალი, რომელიც მოიყვანება პოლისში მითითებულ მიწის ნაკვეთზე.
1.6. დაზღვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურა – სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისის – „დაზღვეული კულტურის სახეობა"–ს გრაფაში.
1.7. დაზღვევის პერიოდი – სადაზღვევო პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია დაზღვევით განსაზღვრული პირობების/შეზღუდვებისა და მოცდის პერიოდის გათვალისწინებით.
1.8. მოცდის პერიოდი – სადაზღვევო პოლისის გაცემის თარიღიდან 4-დღიანი უწყვეტი კალენდარული პერიოდი, რომლის განმავლობაში მომხდარი სადაზღვევო რისკის შედეგად მიყენებული ზიანი არ ექვემდებარება ანაზღაურებას.
1.9. სადაზღვევო ლიმიტი/სადაზღვევო თანხა – სადაზღვევო პოლისით დადგენილი მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის პოლისით განსაზღვრული მოსავლიანობისა და აგროკულტურების მოსალოდნელი მისაღები მოსავლის ფასების გათვალისწინებით განსაზღვრული ოდენობისა.
1.10. დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის სადაზღვევო ლიმიტი – სადაზღვევო ლიმიტის პროცენტი, რომელიც განისაზღვრება დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის შეფარდებით დაზღვეულ ტერიტორიასთან.
1.11. დაზღვეული ტერიტორია (ნაკვეთი) – მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია ან განთავსდება დაზღვევის ობიექტი და რომლის საკადასტრო კოდი ან GPS კოორდინატები მითითებულია სადაზღვევო პოლისში.
1.12. სადაზღვევო პრემია – დაზღვევის საფასური, რომელიც დამზღვევმა უნდა გადაუხადოს მზღვეველს სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული წესითა და ოდენობით.
ამასთან, დამზღვევმა ერთწლიანი კულტურების დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო პრემია უნდა გადაიხადოს სრულად და ერთჯერადად სადაზღვევო პოლისის გაცემის მომენტისათვის, ხოლო მრავალწლიანი კულტურების დაზღვევის შემთხვევაში დამზღვევი უფლებამოსილია, მომდევნო კალენდარული წლის მოსავლის პერიოდზე სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის თანხა გადაიხადოს მას შემდეგ, რაც დასრულდება კონკრეტული კულტურის მოსავლის აღების/ტექნიკური სიმწიფის პერიოდი.
1.13. ფრანშიზა – არაანაზღაურებადი მინიმუმი, რომლის გამოქვითვა ხორციელდება თითოეული სადაზღვევო შემთხვევისათვის. ფრანშიზა გამოითვლება როგორც სადაზღვევო ლიმიტის 10% (ციტრუსის შემთხვევაში, სადაზღვევო ლიმიტის 15%) ან მისაღები მოსავლის ოდენობის სადაზღვევო ანაზღაურების გაანგარიშებისას გამოყენებულ ფასზე გამრავლებით მიღებული ღირებულების 10% (ციტრუსის შემთხვევაში 15%). მითითებული ორი სიდიდიდან გამოიქვითება ის ოდენობა, რომელიც უფრო მცირე იქნება. ამასთან, ერთი და იგივე რისკის ხდომილებისას, იმ შემთხვევაში თუ მეორე სადაზღვევო შემთხვევა მოხდება წინა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტის შედგენამდე, ფრანშიზა გამოიქვითება ერთჯერადად

მხოლოდ იმ პირობით, რომ მზღვეველს ორივე სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შეტყობინება მიღებული აქვს დაზღვევის ხელშეკრულებით/პირობებით განსაზღვრული წესით.
1.14. სადაზღვევო რისკი – მოვლენა (სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა), რომლის დადგომის შედეგად მიყენებული ზიანი ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულებით/პირობებით/პოლისით გათვალისწინებული წესით.
1.15. სეტყვა – ატმოსფერული ნალექები ყინულის წარმონაქმნების სახით (მცირე მარცვლიდან მსხვილი კვერცხისოდენა ზომის წარმონაქმნამდე), რომლებიც, როგორც წესი, ზაფხულში თან ახლავს კოკისპირულ წვიმას ან ქექა-ქუხილს. სეტყვა იწვევს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანებას ან განადგურებას მცენარეთა მიწისზედა ორგანოებზე უშუალო მექანიკური ზემოქმედების შედეგად.
1.16. წყალდიდობა – დაზღვეული კულტურის მიწისზედა და მიწისქვეშა ორგანოებზე მექანიკური ზემოქმედების შედეგად დაზიანება/განადგურება, კერძოდ გადარეცხვა, მოხსნა/მოგლეჯა სახნავი ფენიდან, რომელიც გამოწვეულია უხვი ნალექების შედეგად, წყალმოვარდნის ან/და ღვარცოფული ნაკადის მიერ.
1.17. ქარიშხალი – ქარი სიჩქარით 15მ/წმ ან მეტი, რომელიც იწვევს მცენარეების გაძლიერებულ ტრანსპირაციას, ნიადაგის ზედა ფენების გამოშრობას, მცენარეების მექანიკურ დაზიანებებს.
1.18. საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვს) - საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის) - 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში ტემპერატურის მკვეთრი ვარდნა, რომელსაც შედეგად მოჰყვება დაზღვეული ციტრუსოვანი კულტურის თბური დაზიანება ან განადგურება.
1.19. სადაზღვევო შემთხვევა – სადაზღვევო რისკ(ებ)ის ხდომილების შედეგად დაზღვევის ობიექტისათვის ზიანის მიყენება, რომლის საფუძველზეც, წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების და პოლისის თანახმად, წარმოიშობა მზღვეველის პასუხისმგებლობა, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება.
1.20. მისაღები მოსავალი – მოსავალი, რომელიც მითითებულია დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტში, როგორც მოსავალი, რომელსაც დამზღვევი/მოსარგებლე მიიღებდა, ადგილი რომ არ ჰქონოდა სადაზღვევო რისკ(ებ)ის ხდომილებას.
1.21. სადაზღვევო შემთხვევის შესახებ წერილობითი განაცხადი - დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის ხელშეკრულებით/პირობებით დადგენილი წესით წარდგენილი ხელმოწერილი განაცხადი, რომლითაც დამზღვევის მიერ აღწერილია სადაზღვევო შემთხვევის ნიშნების მატარებელ მოვლენასთან დაკავშირებული გარემოებები და მოთხოვნილია სადაზღვევო ანაზღაურება. სადაზღვევო შემთხვევის შესახებ წერილობითი განაცხადი წარმოადგენს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტის შედგენისათვის აუცილებელ დოკუმენტს;
1.22. დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტი - დოკუმენტი, რომელიც დგება მზღვეველის (ან მზღვეველის მიერ მოწვეული ექსპერტის) მიერ და რომელსაც ხელს აწერს მზღვეველი და დამზღვევი/მოსარგებლე და რომლითაც დასტურდება დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) მზღვეველის მიერ დათვალიერებისა და კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ოდენობა. დაზღვეული ტერიტორიის დათვალიერების აქტი დგება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა დამზღვევს/მოსარგებლეს, ხოლო მეორე რჩება მზღვეველთან. დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტში აისახება შემდეგი ინფორმაცია: მისაღები მოსავლის ოდენობა; სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის პროცენტი;
1.23. სადაზღვევო ანაზღაურების აქტი - დოკუმენტი, რომელიც დგება მზღვეველის მიერ და ხელს აწერს მზღვეველი და დამზღვევი/მოსარგებლე და რომელიც დგება დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტ(ებ)ისა და ასეთი აქტ(ებ)ით დადგენილი ზიანის ოდენობისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტაციის საფუძველზე და განსაზღვრავს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის ხდომილების გამო გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების თანხის ოდენობას; სადაზღვევო ანაზღაურების აქტი დგება 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა დამზღვევს/მოსარგებლეს, ხოლო მეორე რჩება მზღვეველთან. სადაზღვევო ანაზღაურების აქტი წარმოადგენს მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების და სადაზღვევო პოლისის შესაბამისად.
1.24. ნორმატიული მოსავლიანობა, ნორმატიული ფასი - წინამდებარე პირობების მიზნებისათვის თითოეული სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის წინამდებარე ხელშეკრულების დანართით #1 განსაზღვრული ნორმატიული მოსავლიანობა და ნორმატიული ფასი, რომლის ლიმიტს ზემოთ არ ხორციელდება დაზღვევა და არ გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება.
1.25. სადაზღვევო ანაზღაურება - თანხა, რომელსაც მზღვეველი უხდის მოსარგებლეს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად.

1.26. დაზღვევის მოქმედების არეალი – სადაზღვევო პოლისში მითითებული ტერიტორიული ფარგლები და/ან მისამართი.

2. დაზღვევის საგანი

2.1. წინამდებარე დაზღვევის საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევის/დაზღვეულის კანონიერ საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავალის დაზღვევა და შესაბამისი სადაზღვევო მომსახურებით უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულება/პირობებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.
2.2. დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს დამზღვევის საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ზე მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავალი.
2.3. კონკრეტული დაზღვევის ობიექტი მითითებულია სადაზღვევო პოლისში.
2.4. სადაზღვევო პოლისი გაიცემა მხოლოდ ისეთი მიწის ნაკვეთ(ებ)ის დასაზღვევად, რომელზეც განთავსებულია დაზღვევის ობიექტი და რომელიც რეგისტრირებულია სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ან რომელზეც GPS კოორდინატები მითითებულია პოლისში. ამ მონაცემების წარდგენა ევალება დამზღვევს.

3. დაზღვეული რისკები, სადაზღვევო შემთხვევა

3.1. დაფარული რისკების კონკრეტული ჩამონათვალი განსაზღვრულია დაზღვევის პოლისში;
3.2. წინამდებარე პირობების მიხედვით სადაზღვევო რისკებია: სეტყვა; წყალდიდობა; ქარიშხალი; საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის).
3.3. სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს პოლისის მოქმედების პერიოდში, მხოლოდ დაზღვევის პოლისით გათვალისწინებული რისკების შედეგად უშუალოდ პოლისში მითითებული დაფარვის ტერიტორიაზე არსებული დაზღვევის ობიექტისათვის მიყენებული ზიანი, რომლის საფუძველზეც წარმოიშვება მზღვეველის პასუხისმგებლობა გადაუხადოს მოსარგებლეს სადაზღვევო ანაზღაურება.
3.4. სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკების ხდომილების შედეგად პოლისში მითითებულ დაზღვეულ ტერიტორიაზე არსებული დაზღვევის ობიექტისათვის მიყენებული ზიანი, წინამდებარე ხელშეკრულების/პირობების შესაბამისად, თუ ადგილი აქვს შემდეგ მოვლენათა ერთობლიობას:

3.4.1. სადაზღვევო შემთხვევას ადგილი ჰქონდა პოლისის მოქმედების პერიოდში, მოცდის პერიოდის გათვალისწინებით;
3.4.2. ზიანი მიყენებულია უშუალოდ პოლისით გათვალისწინებული დაფარვის ტერიტორიის ფარგლებში.

4. გამონაკლისები

4.1. მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება დაზღვევის ობიექტისათვის მიყენებული ზიანი, რომელიც გამოწვეულია:

4.1.1. საყოველთაოდ აღიარებული სასოფლო–სამეურნეო და მოსავლის აღების პრაქტიკის (რომელიც სრულად შეესაბამება კონკრეტული მიკრო ზონას და აგრო კულტურას) დაუცველობით;
4.1.2. დაუზღვეველი რისკებით, მაშინაც კი, თუ ასეთი ზიანი დადგა სადაზღვევო რისკთან ერთად ან მასთან კავშირში. მიყენებული ზიანი ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მიყენებულია უშუალოდ სადაზღვევო რისკის(ების) შედეგად.
4.1.3. დამზღვევის/მოსარგებლის განზრახი ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით, მათ შორის დამზღვევის/მოსარგებლის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მოსავლის გადარჩენისა და შენარჩუნების მიზნით ყველა გონივრული ზომის გამოუყენებლობა ზიანის დადგომისას ან მის შემდეგ.
4.1.4. ზიანი, რომელიც დადგა შემდეგი გარემოებების დროს, ასეთი გარემოებების ფონზე ან მათთან კავშირში:
ა) როგორიცაა დაავადებათა, მწერთა და მღრღნელთა გავრცელება, დაგვიანებული მწიფობა და სხვა;
ბ) ზიანი, რომელიც არ აღემატება სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ ფრანშიზას;
გ) სასოფლო–სამეურნეო კულტურისათვის მიყენებული დაზიანებები, თუ ასეთი დაზიანებები არ იწვევს ასეთი სასოფლო–სამეურნეო კულტურის მოსავლის დაღუპვას/განადგურებას/დანაკარგს;

4.1.5. ზიანი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია საომარი მოქმედებებით, სამოქალაქო ომით, მასობრივი არეულობით, საგანგებო ან საომარი მდგომარეობით, ტერორიზმით ან მისი ნებისმიერი გამოვლინებით, ისეთი სტიქიური/ბუნებრივი მოვლენებით, რომლებიც არ წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულებით დაზღვეულ რისკებს, ასევე ამ გარემოებების დროს დამდგარი სადაზღვევო რისკებით გამოწვეული ზიანი.

5. სადაზღვევო თანხა/ლიმიტი, ფრანშიზა

5.1. სადაზღვევო თანხა, ლიმიტი წარმოადგენს მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალურ მოცულობას, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის პოლისით განსაზღვრული მოსავლიანობისა და აგროკულტურების მოსალოდნელი მისაღები მოსავლის ფასების გათვალისწინებით განსაზღვრული ოდენობისა.
5.2. ფრანშიზის ფრანშიზა გამოითვლება როგორც სადაზღვევო ლიმიტის 10% (ციტრუსის შემთხვევაში, სადაზღვევო ლიმიტის 15%) ან მისაღები მოსავლის ოდენობის სადაზღვევო ანაზღაურების გაანგარიშებისას გამოყენებულ ფასზე გამრავლებით მიღებული ღირებულების 10% (ციტრუსის შემთხვევაში 15%). მითითებული ორი სიდიდიდან გამოიქვითება ის ოდენობა, რომელიც უფრო მცირე იქნება. ამასთან, ერთი და იგივე რისკის ხდომილებისას, იმ შემთხვევაში თუ მეორე სადაზღვევო შემთხვევა მოხდება წინა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტის შედგენამდე, ფრანშიზა გამოიქვითება ერთჯერადად მხოლოდ იმ პირობით, რომ მზღვეველს ორივე სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შეტყობინება მიღებული აქვს დაზღვევის ხელშეკრულებით/პირობებით განსაზღვრული წესით.
5.3. სადაზღვევო თანხის/ლიმიტის და ფრანშიზის ოდენობა მითითებულია პოლისში.

6. სადაზღვევო პრემია

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის ოდენობა და მისი გადახდის წესი მითითებულია დაზღვევის პოლისში.
6.2. დამზღვევი მზღვეველს სადაზღვევო პრემიას უხდის პოლისში მითითებულ ვადებში და ოდენობით.
6.3. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხდება ლარში, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით; სადაზღვევო პრემიის გადახდის დღედ ითვლება მზღვეველის საანგარიშსწორებო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღე.
6.4. დამზღვევის მიერ პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდამდე, ასევე გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში მზღვეველი თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, რაც ამავე დროს არ ათავისუფლებს დამზღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
6.5. იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი სადაზღვევო პრემიის გადახდის ვადას გადააცილებს 14 (თოთხმეტი) დღით, მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს სადაზღვევო მომსახურება დამზღვევისათვის შეტყობინების გაგზავნის გარეშე და არ აანაზღაუროს ამ პერიოდის გასვლის შემდგომ დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა, ხოლო ვადის გადაცილებიდან 30 (ოცდაათი) დღის გასვლის შემდეგ მზღვეველს უფლება აქვს გააუქმოს ხელშეკრულება ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე, ცალმხრივად. ხელშეკრულების გაუქმებამდე დავალიანების გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება მისი მოქმედების ვადით, თუმცა დავალიანების პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები არ ექვემდებარება ანაზღაურებას.
6.6. სადაზღვევო პოლისის გაფორმების შემდეგ დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება დამზღვევის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემია.

7. დაზღვევის ტერიტორია

7.1. წინამდებარე დაზღვევის მიზნებისათვის დაზღვევის ტერიტორიად განისაზღვრება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა) არსებული მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია დაზღვევის ობიექტი და რომლის საკადასტრო კოდი მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

8. სადაზღვევო ანაზღაურება

8.1. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკების შედეგად დამდგარი შემთხვევა, ამავე ხელშეკრულებით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით.

8.2. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მიყენებული ზიანის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო ლიმიტისა.
8.3. მოვლენის დადგომისას, რომელიც ატარებს სადაზღვევო შემთხვევის ნიშნებს, დამზღვევი / მოსარგებლე ვალდებულია დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში, დაუკავშირდეს მზღვეველს 24-საათიან საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე +995 322 501 501 და შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე. ამავდროულად, 5 სამუშაო დღეში ტელეფონით ან ელექტრონულად მზღვეველთან დააზუსტოს შემდეგი ინფორმაცია: დამზღვევის პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი, სადაზღვევო პოლისის ნომერი, დამზღვევის საკონტაქტო ტელ. ნომერი, დაზღვეული დაზიანებული ნაკვეთის ადგილმდებარეობა, ფართობი და განხორციელებული რისკი.
8.4. მომხდარი შემთხვევის შესახებ ზეპირი შეტყობინება მზღვეველისათვის ნებიმიერ შემთხვევაში უნდა დადასტურდეს წერილობითი ფორმით. დამზღვევის/მოსარგებლის იდენტიფიცირებიდან 30 კალენდარულ დღეში დამზღვევი წერილობითი განცხადებით მიმართავს მზღვეველს.
8.5. მზღვეველი დამზღვევის/მოსარგებლის იდენტიფიცირებიდან 30 კალენდარულ დღეში ახდენს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერებას და ადგენს დაზღვეული დაზიანებული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტს. ამასთან, ერთი დაზღვეული რისკის ხდომილების შედეგად კონცეტრირებულ გეოგრაფიულ ერთეულზე (მუნიციპალიტეტი) მზღვეველის მოცულობითი პორტფელის 51% და მეტი ნაკვეთების დაზიანების შემთხვევაში შესაძლებელია დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტის შედგენის ვადა გაგრძელდეს არაუმეტეს 40 კალენდარულ დღემდე.
8.6. ამასთან, მზღვეველი თავისუფლდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან სრულად იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი წერილობითი განცხადებით არ მიმართავს მზღვეველს დამზღვევის იდენტიფიცირებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;
8.7. იმ შემთხვევაში, თუ მოსავლის აღების პერიოდისთვის მზღვეველს, დამზღვევს/მოსარგებლეს შორის მიღწეული არ არის შეთანხმება მოსავლის დანაკარგის ოდენობაზე ან სადაზღვევო რისკის ხდომილებას ადგილი ჰქონდა მოსავლის აღების პერიოდში, მზღვეველის წერილობითი თანხმობით, დამზღვევი უფლებამოსილია აიღოს მოსავალი მზღვეველის წარმომადგენლის ადგილზე მისვლამდე და დატოვოს „სანიმუშო ზოლები“, ერთწლიანი კულტურების შემთხვევაში – დაზღვეულ ტერიტორიაზე ორი სრული რიგი, ხოლო მრავალწლიანი კულტურების შემთხვევაში – თითოეულ ჰექტარზე ერთი სრული რიგი თითოეული ჰექტარის ცენტრალურ ნაწილში. თუკი დაზღვეული ტერიტორიის ფართობი შეადგენს ერთნახევარ ჰექტარს ან ერთნახევარ ჰექტარზე ნაკლებია, დამზღვევი ვალდებულია დატოვოს ერთი სანიმუშო ზოლი დაზღვეული ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში. ამავდროულად, დამზღვევი ვალდებულია წერილობით დაადასტუროს დაზღვეული ტერიტორიიდან აღებული მოსავლის რაოდენობა კილოგრამებში, ფართობი, საიდანაც აღებულ იქნა მოსავალი, ჩატარებული კრეფების ჯერადობა, მრავალწლიანი ნარგავების შემთხვევაში დაკრეფილი ხეების/ნარგავების რაოდენობა, მოახდინოს ასაღები და აღებული მოსავალის ფოტოგრაფირება, თარიღის მითითებით.
8.8. დათვალიერების აქტის შედეგნის, დამზღვევის მხრიდან ყველა სათანადო დოკუმენტაციის მიწოდებისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დასადგენად აუცილებელი ინფორმაციის (მათ შორის მიმდებარე ტერიტორიებიდან ანალოგიური სასოფლო–სამეურნეო კულტურის მოსავლის აღების პერიოდში შესაბამისი კულტურის საშუალო საბაზრო ფასი მინდვრიდან შესყიდვისას და სადაზღვევო შემთხვევის დღისათვის განსაზღვრული მისაღები მოსავლის ოდენობა) მიღებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში მზღვეველი უზრუნველყოფს სადაზღვევო ანაზღაურების აქტის შედგენას. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა ხდება მზღვეველის და დამზღვევის/მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების აქტის ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.
8.9. არცერთ შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება არ შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო თანხას სადაზღვევო შემთხვევათა სიმრავლისა და სიდიდის მიუხედავად.
8.10. ზიანის დარეგულირების პროცესში გასაფორმებელი დოკუმენტაციაა:
ა) დამზღვევის მიერ შედგენილი და მზღვეველთან წარდგენილი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ წერილობითი განაცხადი;
ბ) დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტი;
გ) სადაზღვევო ანაზღაურების აქტი.
8.11. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის შეფასება თითოეული კულტურის მიხედვით მოხდება მზღვეველის მიერ შემუშავებული ზიანის შეფასების სტანდარტული წესის დაცვით, რომელსაც დამზღვევი გაცნობილია და ეთანხმება; აღნიშნული წესი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს.
8.12. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანისათვის მზღვეველის მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა (ფრანშიზის გათვალისწინებამდე) გამოიანგარიშება შემდეგნაირად:

ა) მისაღები მოსავლის ნამრავლით ზიანის პროცენტზე და ნორმატიულ ფასსა და საბაზრო ფასს შორის უმცირესზე;
ბ) თუ დაზღვეული ტერიტორიიდან მისაღები მოსავალი ნაკლებია ნორმატიულ მოსავლიანობაზე - მისაღები მოსავლის ნამრავლით ზიანის პროცენტზე და ნორმატიულ ფასსა და საბაზრო ფასს შორის უმცირესზე;
გ) თუ დაზღვეული ტერიტორიიდან მისაღები მოსავალი მეტია სადაზღვევო ლიმიტზე სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა (ფრანშიზის გათვალისწინებამდე) გამოიანგარიშება შემდეგი წესით:

$$\text{სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა} = \text{რეალური ზარალი} \times \frac{\text{სადაზღვევო ლიმიტი}}{\text{მისაღები მოსავალის ღირებულება}}$$

$$\text{რეალური ზარალი} = \text{მისაღები მოსავალი} \times \text{სასოფლო-სამეურნეო კულტურის ნორმატიულ ფასსა და საბაზრო ფასს შორის უმცირესზე (ლარი/კგ)} \times \text{ზიანის პროცენტზე;}$$

8.13. სადაზღვევო ლიმიტი მცირდება მზღვეველის მიერ გადახდილი/გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობით.
8.14. განადგურებული მოსავლის რეალური ღირებულების გამოანგარიშებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:
ა) მიმდებარე ტერიტორიებიდან ანალოგიური სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის აღების პერიოდში მისი საშუალო საბაზრო ფასი. საშუალო საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია დადგენილ უნდა იქნეს სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს'' შესაბამისი დასკვნით; ვაზის (ყურძნის) შემთხვევაში საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მოძიებულ იქნეს სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოში არსებულ რთველის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაზე დაყრდნობით;
ბ) სადაზღვევო შემთხვევის დღისათვის განსაზღვრული მისაღები მოსავლის ოდენობა.
8.15. როდესაც დაზღვეული ტერიტორია ან ტერიტორიის ნაწილი დაზიანებულია დაზღვეული რისკის შედეგად იმდენად, რომ მიკროკლიმატური ფაქტორების და დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით მიზანშეწონილია გადათესვა/გადარგვა, მზღვეველი აანაზღაურებს გადარგვა / გადათესვის დადასტურებულ ხარჯებს, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო ლიმიტის 20%–ისა.
8.16. თუ გადათესვა/გადარგვა მიზანშეწონილია, მაგრამ დამზღვევი გადაწყვეტს, არ განახორციელოს გადათესვა/გადარგვა, მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის სადაზღვევო ლიმიტის 15%–ის ოდენობით. ასეთ შემთხვევაში ტერიტორიის ამ ნაწილთან მიმართებაში დაზღვევა წყდება. დარჩენილ დაზღვეულ ტერიტორიასთან მიმართებაში სადაზღვევო ლიმიტი მცირდება პროპორციულად.
8.17. დამზღვევი უფლებამოსილია, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიიდან აიღოს მოსავალი მზღვეველთან ზიანის ოდენობაზე დადებული წერილობითი შეთანხმების გაფორმების შემდეგ.
8.18. თუ აღმოჩნდება, რომ დაზღვეული ტერიტორიიდან მისაღები მოსავლის ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე პოლისში დაფიქსირებული სადაზღვევო ლიმიტი, სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა პროპორციულად შემცირდება.
8.19. თუ ერთი დაზღვევის ობიექტი დაზღვეულია რამოდენიმე მზღვეველის მიერ, კონკრეტული მზღვეველის მიერ გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა გამოითვლება სადაზღვევო დაფარვის მთლიან მოცულობაში მისი წილის პროპორციულად.
8.20. თუ სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის ვერ ხერხდება მიწის ნაკვეთის დაზიანების პროცენტზე შეთანხმება, შეჩერდება ზიანის დარეგულირება ამ მაჩვენებლის დადგენამდე. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, დაინიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა/მოწვეული იქნეს დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელთან დაკავშირებული ხარჯი თანაბრად იქნება განაწილებული დავაში მონაწილე პირებზე.

9. მხარეთა უფლება–მოვალეობები

9.1. დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია:

9.1.1. მიაწოდოს მზღვეველს სწორი და უტყუარი ინფორმაცია დაზღვევის განხორციელებისათვის და აგროდაზღვევის პოლისის ხელმოწერის თარიღისთვის უკვე განხორციელებული დაზღვევების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ;
9.1.2. მიაწოდოს „მზღვეველს“ აუცილებელი ცნობები/დოკუმენტები მათ შორის სახელმწიფო ორგანოებიდან ან ნებისმიერი სხვა უწყებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში „მზღვეველი“ უფლებამოსილია უარი განაცხადოს ვალდებულებების შესრულებაზე აღნიშნული საპასუხო მოქმედებების შესრულებამდე;

9.1.3. თუ დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ადგილი ექნება რაიმე არსებით ცვლილებას დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას განცხადებულ ინფორმაციაში, დაუყონებლივ (მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა) წერილობითი განცხადების საშუალებით შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მზღვეველს;
9.1.4. გადაიხადოს სადაზღვევო პრემია დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და პოლისით გათვალისწინებული ოდენობითა და ვადებში;
9.1.5. ხელი შეუწყოს "მზღვეველს" "სადაზღვევო შემთხვევის" დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებაში და წარუდგინოს მზღვეველს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის, სადაზღვევო ინტერესის დადგენისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის;
9.1.6. მიაწოდოს მზღვეველს დაზღვევის ობიექტის შესახებ სრული და უტყუარი ინფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან;
9.1.7. გააცნოს მზღვეველს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომელთაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეთ რისკის შეფასებისათვის.
9.1.8. შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

9.2. დამზღვევი/მოსარგებლე უფლებამოსილია:
9.2.1. მოსთხოვოს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა დაზღვევის ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით;
9.2.2. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიიდან აიღოს მოსავალი მზღვეველთან ზიანის ოდენობაზე დადებული წერილობითი შეთანხმების გაფორმების შემდეგ;
9.2.3. მოითხოვოს დამოუკიდებელი, მასთან შეთანხმებული ექსპერტიზის ჩატარება საკუთარი ხარჯით, ზიანის ოდენობის გადამოწმების მიზნით;
9.2.4. განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

9.3. მზღვეველი უფლებამოსილია:
9.3.1. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ნებისმიერ დროს, თავად ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით, მოახდინოს დაზღვეული ტერიტორიის შემოწმება. შემოწმების შედეგად შეადგინოს დათვალიერების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მზღვეველი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი და დამზღვევი/მოსარგებლე;
9.3.2. მოსთხოვოს დამზღვევს ყველა იმ დოკუმენტის წარდგენა, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის, სადაზღვევო ინტერესის დადგენისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის;
9.3.3. მიიღოს მონაწილეობა ზიანის გამომწვევ მიზეზთა დადგენასა და ზიანის შეფასებაში, ასევე მოითხოვოს დამზღვევის/მოსარგებლის ხელშეწყობა;
9.3.4. მოსთხოვოს "დამზღვევს" გადაიხადოს "სადაზღვევო პრემია" სადაზღვევო პოლისით დადგენილი წესითა და ვადებში;
9.3.5. არ აანაზღაუროს ის სადაზღვევო შემთხვევა, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით და/ან ხვდება გამონაკლისთა ნუსხაში;
9.3.6. დამზღვევთან დამატებითი შეთანხმების გარეშე, შესაბამისი დაწესებულებებიდან ან სხვა მესამე პირებისგან მიიღოს დამდგარ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
9.3.7. მზღვეველის სხვა უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

9.4. მზღვეველი ვალდებულია:
9.4.1. დამზღვევის/მოსარგებლის იდენტიფიცირებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს დაზღვეული ტერიტორიის დათვალიერება და დაზღვეული დაზიანებული მიწის ნაკვეთის დათვალიერების აქტის შედგენა;
9.4.2. შექმნას პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს დამზღვევის/მოსარგებლის უფლებას შეუფერხებლად დაუკავშირდეს ან შეხვდეს მზღვეველის წარმომადგენელს სადაზღვევო მომსახურებაში არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით;
9.4.3. დამზღვევის მხრიდან ყველა სათანადო დოკუმენტაციის მიწოდებისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დასადგენად აუცილებელი ინფორმაციის (მათ შორის მიმდებარე ტერიტორიებიდან ანალოგიური სასოფლო–სამეურნეო კულტურის მოსავლის აღების პერიოდში შესაბამისი კულტურის საშუალო საბითუმო ფასი მინდვრიდან შესყიდვისას და სადაზღვევო შემთხვევის დღისათვის განსაზღვრული მისაღები მოსავლის ოდენობა) მიღებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს სადაზღვევო ანაზღაურების აქტის შედგენა;
9.4.4. აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიღებული ზიანი.

10. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი, დაზღვევის ძალაში შესვლისა და ვადამდე შეწყვეტის პირობები

10.1. ხელშეკრულება/პირობები ძალაში შედის პოლისის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდით.

10.2. დაზღვევის მოქმედების პერიოდში ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მიმართ მზღვეველის ვალდებულება ძალაში შედის:

10.2.1. ერთწლიან კულტურებთან მიმართებაში, თუ სადაზღვევო რისკი მომხდარია მას შემდეგ რაც ნაკვეთზე ჩატარებულია შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კულტურის აგროწესებითა და აგროვადებით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, სასოფლო-სამეურნეო კულტურის 90% თანაბრად აღმოცენებულია და იმყოფება სავეგეტაციო პერიოდის მიწისზედა ორგანოების (მინიმუმ 10 სმ) განვითარების ფაზაში და მოქმედებს მოსავლის აღებამდე; სანერგე მასალით (ჩითილი) დარგვის შემთხვევაში – სანერგე მასალის (ჩითილის) ღია გრუნტში გადარგვიდან არაუადრეს 10 კალენდარული დღისა.

10.2.2. მრავალწლიან კულტურებთან მიმართებაში, თუ სადაზღვევო რისკი მომხდარია მას შემდეგ რაც:

10.2.2.1. ხილი – დაზღვეულ ტერიტორიაზე ხეებზე ნაყოფის 50% მიაღწევს 0.8 სმ–ს დიამეტრში, გარდა ბლისა, ალუბლისა და თხილისა, რომელთა შემთხვევაშიც დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა ნაყოფი მიაღწევს 0.4 სმ–ს დიამეტრში;

10.2.2.2. კენკრა – მცენარეს გავლილი აქვს ყვავილობის ფაზა, ნაყოფი ხდება მკვეთრად გარჩევადი და ფორმირებულია ბუჩქზე;

10.2.2.3. ყურძენი - გამოტანილია მტევანი (როდესაც მტევანი გაშლილი და ვიზუალურად გარჩევადია).

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

10.3.1. “მხარეთა” შორის წერილობითი შეთანხმება;

10.3.2. მზღვეველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;

10.3.3. სადაზღვევო პოლისის ვადის გასვლა;

10.3.4. მოსავლის სრულად აღება დაზღვეული ტერიტორიიდან;

10.3.5. მოსავლის ტექნიკური სიმწიფის დასრულება;

10.3.6. მოსავლის ან სარგავი მასალის (ჩითილი) სრული განადგურება;

10.3.7. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

11. ორმაგი დაზღვევა

11.1. თუ ერთი დაზღვევის ობიექტი დაზღვეულია რამოდენიმე მზღვეველის მიერ, კონკრეტული მზღვეველის მიერ გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა გამოითვლება სადაზღვევო დაფარვის მთლიან მოცულობაში მისი წილის პროპორციულად.

11.2. მზღვეველის მიერ ზიანის ანაზღაურება მოხდება დამზღვევის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიის პროპორციულად იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველისთვის ცნობილი იყო სადაზღვევო პოლისის გაცემამდე ინფორმაცია ორმაგი დაზღვევის შესახებ.

12. ფორს-მაჟორი

12.1. თუ დამატებითი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე სხვა რამ არ არის შეთანხმებული, “მხარეები” თავისუფლდებიან პასუ¬ხისმგებლობისგან ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორული გარემოებების (სტიქიური უბედურება, ომი, სამხედრო მანევრები, დივერსია, კანონიერ ძალაში შესული სახელმწიფო ორგანოების აქტები და ქმედებები, საგანგებო მდგომარეობა, საომარი მდგომარეობა, ასევე სხვა მოვლენები, რამაც მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად დააბრკოლა ან/და შეუძლებელია გახადა მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების) შემთხვევაში.

12.2. “მხარე”, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია ფორს-მაჟორის დადგომიდან ან ფორს-მაჟორის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან ორ სამუშაო დღეში აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ. თუ ფორს-მაჟორი ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება და ხელშეკრულების აღსრულების დაყოვნება “მხარ(ეებ)ის” ინტერესის დაკარგვას იწვევს, მაშინ “მხარეები” უნდა შეთანხმდნენ ხელშეკრულების გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ.

13. დავის გადაჭრა, ზიანის ანაზღაურება

13.1. დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე „მხარეთა“ შორის წამოჭრილი დავის ურთიერთშეთანხმებით დაურეგულირებლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს მეშვეობით.

13.2. თითოეული “მხარე“ ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე „მხარეს“ მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3. „მზღვეველი“-ს მიმართ პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, პრეტენზიის მიღება, განხილვა და რეგულირება ხდება „მზღვეველი“-ს „მომხმარებელთა პრეტენზიების მიღებისა და განხილვის პროცედურის“ შესაბამისად, რომელიც განთავსებულია ელექტრონული სახით შემდეგ მისამართზე www.nvi.ge. „დამზღვევი“-ს პრეტენზია წარედგინება „მზღვეველი“-ს მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურს შემდეგი საშუალებით:

- წერილობითი (მატერიალური) ფორმით გამოხატული პრეტენზია წარმოდგენილი უნდა იქნას საპრეტენზიო განცხადების სახით პრინციპალის საკომუნიკაციო საშუალებების (ტელეფონი, ელ-ფოსტა) მითითებით, გარანტის მისამართზე ქ. თბილისი, ე, მიქელაძის 1ბ; პასუხის მიღების მაქსიმალური ვადაა საპრეტენზიო განცხადების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;
- ელექტრონული ფორმით გამოხატული პრეტენზია, წარმოდგენილი უნდა იქნას საპრეტენზიო განცხადების ელექტრონული ვერსიის ან სხვა არასტანდარტული განცხადების ელექტრონული ფორმით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე – insurance@nvi.ge. პასუხის მიღების მაქსიმალური ვადაა საპრეტენზიო განცხადების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;
- ზეპირსიტყვიერი ფორმით გამოხატული პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნას გარანტის საინფორმაციო სამსახურში პრეტენზიის დაფიქსირებით. პასუხის მიღების მაქსიმალური ვადაა საპრეტენზიო განცხადების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

13.4. ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების შემთხვევაში მხარეები მორიგების მიზნით მიმართავენ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“, „დაზღვევის მედიაციას“ სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2 555 155, ელექტრონული ფოსტის მისამართზე mediacia@insurance.org.ge .

13.5. დამზღვევი უფლებამოსილია, ასევე, მიმართოს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს; ქ. თბილისი, ლ. მიქელაძის ქ. N3, ტელ: +995 32 223 44 10.

14. კონფიდენციალობა

14.1. „მხარეები“ ვალდებულნი არიან, მეორე „მხარესთან“ წერილობით შეუთანხმებლად არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია მეორე „მხარის“ შესახებ, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას მოითხოვს კანონი.

14.2. დამზღვევი/დაზღვეული მზღვეველს ანიჭებს უფლებას დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით: ა) განახორციელოს დამზღვევის/დაზღვეულის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პერსონალური მონაცემების, მათ შორის ამავე კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება თავისი შეხედულებისამებ და, საჭიროების შემთხვევაში, წინამდებარე პუნქტში მითითებულ მონაცემთა გადაცემა როგორც საქართველოს, ასევე სხვა სახელმწიფოს საჯარო თუ კერძო დაწესებულებებისათვის / ორგანიზაციებისათვის; ბ) მოიპოვოს დამზღვევის/დაზღვეულის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია / დოკუმენტაცია, რომელსაც პირდაპირ თუ ირიბად შეიძლება კავშირი ჰქონდეს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მხარეთა ვალდებულებებთან, სადაზღვევო შეთხვევასთან ან / და ზიანის ოდენობასთან, ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებებიდან/ორგანიზაციებიდან;
გ) პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისათვის - ახალი სადაზღვევო პროდუქტებისა და მომსახურების შესათავაზებლად გამოიყენოს დამზღვევის პერსონალური მონაცემი. დამზღვევს/დაზღეულს, უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მზღვეველს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი - მზღვეველისათვის წერილობითი ან სატელეკომუნიკაციო საშუალებებით მიმართვის გზით.

15. ზოგადი დებულებები

15.1. დაზღვევის ხელშეკრულების განხორციელებისათვის საჭირო ყველა შეტყობინება და თანხმობა მხარეებს შორის შედგება წერილობით. თუ ეს მიზანშეუწონლად დამაყოვნებელია, შეტყობინება ხდება ზეპირად ან/და ელექტრონულად, შეძლებისდაგვარად მოკლე ხანში წერილობით დადასტურებით. ბრალის ფარგლებში, მხარე პასუხისმგებელია მეორე მხარისათვის მიწოდებული ინფორმაციის

სისწორეზე, სიზუსტესა და ლეგალურობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მეორე მხარეს წარმოეშვება უფლება, არ შეასრულოს შესაგებელი ვალდებულება.
15.2. დაზღვევის ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაში შედის და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი მხოლოდ მხარეთა მიერ გაფორმებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
15.3. წინამდებარე პირობებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, შეტყობინება, შენიშვნა ან პრეტენზია შესაძლებელია გაიგზავნოს სატელეფონო მობილური ოპერატორების სმს (მოკლე ტექსტური შეტყობინების) შეტყობინების გზით ან ელ.ფოსტის მეშვეობით დამზღვევის განაცხადში/პოლისში მითითებულ მობილურის ნომერზე ან ელ. ფოსტის მისამართზე, რაზეც დამზღვევი აცხადებს თანხმობას. დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს წინამდებარე ხელშეკრულებაში / განაცხადში/პოლისში დაფიქსირებული მისი რეკვიზიტების (მისამართი, ტელეფონი, ელ ფოსტა და სხვა) ცვლილების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებულ რეკვიზიტებზე განხორციელებული შეტყობინება ჩაითვლება ადრესატის მიერ მიღებულად.
15.4. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის ან შესაბამისი სატელეკომუნიკაციო პროვაიდერის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:

- კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების ან დეპეშის გაგზავნის შემთხვევაში მხარის მიერ შეტყობინების ჩაბარების ან შეტყობინების ჩაბარებაზე უარის განცხადების დღე
- ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში მეორე მხარისთვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან;
- შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, თავს აარიდებს მის მიღებას ან მზღვეველს მიაწოდებს არასრულ/არასწორ მისამართს / საკონტაქტო ინფორმაციას.

15.5. დაზღვევის ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის გაბათილება/გაუქმება არ გამოიწვევს საკუთრივ ხელშეკრულების გაბათილება/გაუქმებას.
15.6. მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მხარეებს არ შეუძლიათ დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებებისა/ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა პირებზე გადაცემა.
15.7. დამზღვევის ვალდებულებები თანაბრად ვრცელდება დაზღვეულზე, მოსარგებელზე მის უფლებამონაცვლეებზე წარმომადგენლებზე და რწმუნებულებზე.
15.8. დამზღვევის/მოსარგებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისგან.
15.9. დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ყველაფერ დანარჩენში, რაც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები ძალაში რჩება.
15.10. დამზღვევი ადასტურებს რომ წინამდებარე წინამდებარე დაზღვევის პირობები, პოლისი და ნებისმიერი თანდართული დოკუმენტი, არ შეიცავენ ბუნდოვან ან გაუგებარ დებულებებს და რომ იგი სრულად გაეცნო, მიიღო და ეთანხმება აღნიშნულ პირობებს.

წინამდებარე პირობებზე თანხმობის განცხადებამდე დამზღვევი ვალდებულია ყურადღებით გაეცნოს წინამდებარე პირობებს, რომელიც გაგზავნილია დამზღვევის ტელეფონის ნომერზე ლინკის სახით. დამზღვევის თანხმობა წინამდებარე პირობებზე დასტურდება სადაზღვევო პოლისზე ხელისმოწერით და სადაზღვევო პრემიის გადახდით.

ნებისმიერი საკითხის დაზუსტების/გარკვევის მიზნით გთხოვთ დაუკავშირდეთ სს ნიუ ვიჟენ დაზღვევას საინფორმაციო სამსახურს – 032 2 501 501

წინამდებარე პირობები მოქმედებს მხოლოდ შესაბამის სადაზღვევო პოლის(ებ)თან ერთად.

04 მაისი, 2020 წელი

დანართი N1

სასოფლო-სამეურნეო კულტურა	ნორმატიული ფასი ლარი/ჰა	ნორმატიული ფასი ლარი/კგ	ნორმატიული მოსავლიანობა კგ/ჰა
მარცვლეული კულტურები			
ხორბალი	1,500	0.5	3,000
ქერი	1,320	0.6	2,200
სიმინდი	2,250	0.5	4,500
შვრია	1,200	0.6	2,000
ჭვავი	1,365	0.65	2,100
პარკოსანი კულტურები			
ლობიო	3,400	2	1,700
მზესუმზირა	2,300	1	2,300
სოიო	2,500	1	2,500
მიწის თხილი	8,500	5	1,700
ბოსტნეული კულტურები			
ბადრიჯანი	14,000	0.5	28,000
წიწაკა	14,000	0.5	28,000
კომბოსტო	15,200	0.4	38,000
პომიდორი	12,000	0.4	30,000
კიტრი	13,500	0.5	27,000
კარტოფილი	15,000	0.6	25,000
ხახვი	12,500	0.5	25,000
ნიორი	14,400	1.8	8,000
სტაფილო	16,250	0.65	25,000
ჭარხალი	15,000	0.5	30,000
ბროკოლი	20,000	2	10,000
ყვავილოვანი კომბოსტო	15,000	0.8	18,750
მწვანილი (არასასათბურე)	18,000	3	6,000
ცერეცო (არასასათბურე)	30,000	3	10,000
ბაღჩეული კულტურები			
საზამთრო	10,000	0.25	40,000
ნესვი	10,000	0.4	25,000
გოგრა	12,000	0.6	20,000
ვაზი			
თეთრი	8,000	0.8	10,000
წითელი	15,000	1.5	10,000
საფერავი	20,000	2	10,000

სასოფლო-სამეურნეო კულტურა	ნორმატიული ფასი ლარი/ჰა	ნორმატიული ფასი ლარი/კგ	ნორმატიული მოსავლიანობა კგ/ჰა
ხეხილი			
ვაშლი	25,000	1	25,000
მსხალი	30,000	1.5	20,000
კომში	20,000	1	20,000
ბალი, ალუბალი	22,500	1.5	15,000
ატამი	13,800	0.6	23,000
გარგარი	22,500	1.5	15,000
ქლიავი	14,400	0.9	16,000
ბროწეული	19,200	1.2	16,000
ალუჩა	16,000	0.8	20,000
ტყემალი	9,000	0.6	15,000
კენკროვანი კულტურები			
მარწყვი	13,500	1.5	9,000
ჟოლო	14,000	2.8	5,000
მოცხარი	12,000	2	6,000
მოცვი	32,000	4	8,000
მაყვალი	14,000	2.8	5,000
თხილი	6,000	4	1,500
კაკალი	16,000	4	4,000
ნუში	15,000	5	3,000
სუბტროპიკული კულტურები			
კივი	18,000	1	18,000
სუბტროპიკული ხურმა, კარალიოკი	10,800	0.6	18,000
ფეიხოა	12,000	1.5	8,000
ციტრუსი			
მანდარინი	10,000	0.5	20,000
ლიმონი	13,600	0.85	16,000